შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

# ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 65.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

**გაითვალისწინეთ:**

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.
- თუ ქართული ენისა და ლიტერატურის დავალებებზე პასუხის გაცემისას დაარღვევთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, დაგაკლდებათ ქულა.

**ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.**

**გისურვებთ წარმატებას!**

# საგნობრივი ცოდნა

# ქართული ენა და ლიტერატურა

**1.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი **არ წარმოადგენს** საკუთარ სახელს?

ა) ალაზანი

ბ) ყაყაჩო

გ) გუდამაყარი

დ) ნეპტუნი

**2.** ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაში / წინადადებებში არის მართებულად გამოყენებული სიტყვა ***სრულიად***?

I. ჩემი მეზობელი სრულიად ვაქცინირებულია.
II. სრულიად ვეთანხმები წარმოდგენილი წინადადების სულისკვეთებას.
III. ჩვენ სრულიად განსხვავებულ საკითხებზე ვმსჯელობთ.

ა) მხოლოდ მეორეში;
ბ) პირველსა და მეორეში;
გ) მხოლოდ მესამეში;
დ) მეორესა და მესამეში.

**3.** დაადგინეთ შესაბამისობა საბავშვო ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და ამ ნაწარმოებების პერსონაჟებს შორის. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში ნაწარმოების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი პერსონაჟის ნომერი (გაითვალისწინეთ, ერთი პასუხი / ნომერი ზედმეტია).

ა) პეპი გრძელწინდა

ბ) ტომ სოიერის თავგადასავალი

გ) პატარა უფლისწული

დ) ლიონებერგელი ემილის თავგადასავალი

ე) სალამურას თავგადასავალი

1. ჰერმიონი
2. მელია
3. ალე ჰოპი
4. ინდიელი ჯო
5. იდა
6. ანიკა

**4.** ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან რამდენიმეში დაშვებულია *მორფოლოგიური თუ სინტაქსური* შეცდომა. ამოიწერეთ შეცდომები, მიუთითეთ სწორი ფორმა და  განმარტეთ, რის ცოდნაა საჭირო, რომ ანალოგიური შეცდომა არ დავუშვათ. თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.

გაითვალისწინეთ, რომ სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.

1. რამდენი წელია, რაც ეს სურათი კედელზე ჰკიდია, როგორც სიმბოლო ჩვენი მეგობრობისა.
2. წიფელი კი, რომელიც ბნელი ხევის პირს გადმომდგარიყო, მშვიდად მიელულა თვალი.
3. დამერწმუნეთ, უდავოდ მისასალმებელია ბატონი დავითის ეს საინტერესო მიგნება.
4. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი და შენი საუბრის თემა არ გასცდება ამ ოთახის კედლებს.
5. გამარჯვებულად მხოლოდ ის შემიძლია დავასახელო, ვინც უკეთეს ქულას მიიღებს.
6. მათმა ნაამბობმა წარუშლელი კვალი დატოვა მეორეკლასელ ლუკაზე.
7. ჩემი მოტივაცია გაათმაგა მასწავლებლის შექებამ.

**5.** მოცემულია ორი შინაარსობრივად მსგავსი, მაგრამ სინტაქსური თვალსაზრისით განსხვავებული **ა** და **ბ** წინადადება. <u>**დეტალურად აღწერეთ ა წინადადების ბ წინადადებად გარდაქმნის პროცესი**</u> გრამატიკული ტერმინების გამოყენებით.

ა) მოსამართლე გაბრაზდა და ყურადღება არ მიაქცია მის ხვეწნა-მუდარას.

ბ) მოსამართლემ, გაბრაზებულმა, ყურადღება არ მიაქცია მის ხვეწნა-მუდარას.

*(მაქსიმალური ქულა – 2)*

**6.** წაიკითხეთ ნაწყვეტი რაქელ პალაციოს წიგნიდან **„საოცრება“ და** შეასრულეთ 6.1 – 6.3 დავალებები:

გაფრთხილებული ვიყავი, სკოლაში სადილად რაც ხდება ხოლმე, ჰოდა ვიცოდი, რომ გამიძნელდებოდა. თუმცა, ასეთი გასაჭირი თუ დამადგებოდა, არ მეგონა. მეხუთეკლასელები ერთად შეცვივდნენ სასადილოში, ყაყანებდნენ, გზადაგზა ერთმანეთს ეხეთქებოდნენ. წესრიგს რომელიღაც მასწავლებელი ამყარებდა და გაიძახოდა, დასხედით, ადგილები არ დაიკავოთო. მაგრამ რას ნიშნავდა, ვერ მივხვდი. მგონი, ვერც სხვები მიხვდნენ, იმიტომ, რომ ყველანი უკავებდნენ მეგობრებს ადგილებს. რომელიღაც მაგიდასთან დავაპირე დაჯდომა. იქ მხოლოდ ერთი ბიჭი იჯდა, მაგრამ მითხრა, ბოდიში, აქ დაკავებულიაო.

ვიპოვე ცარიელი მაგიდა, დავჯექი და დაველოდე, როდის მორჩებოდა ეს ორომტრიალი და როდის გამოგვიცხადებდა მასწავლებელი, როგორ უნდა მოვქცეულიყავით. ბავშვები ჯერაც შემოდიოდნენ, როცა მასწავლებლებმა პირველ სამ მაგიდასთან მსხდომი ბავშვები გამოიძახეს – ლანგრები აიღეთ და დახლთან რიგში ჩადექითო.

დედამ ყველიანი ბუტერბროდი, კრეკერები და ერთი პაკეტი წვენი გამომატანა. ჰოდა, როცა მე გამომიძახეს, ადგომა არ დამჭირვებია. გავხსენი ზურგჩანთა, ამოვიღე კონტეინერი და ნელა დავუწყე ბუტერბროდს ფოლგის შემოხსნა. ზუსტად ვიცოდი, რომ მომშტერებოდნენ, ახედვაც კი არ მჭირდებოდა. ვიცოდი, ცალი თვალით მიყურებდნენ და ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ. მეგონა, ამნაირებს შეჩვეული ვიყავი, მაგრამ თურმე არა. იქვე ახლოს, გოგოების მაგიდასთანაც, ჩემზე ჩურჩულებდნენ; იმით მივხვდი, რომ პირზე ხელს იფარებდნენ და შიგადაშიგ მზერასაც მესროდნენ.

მეჯავრება ჩემი ჭამის პროცესი. ვიცი, რა უსიამოვნო სანახაობაა. მგლის ხახის გასასწორებლად ბავშვობაში ოპერაცია გამიკეთეს, ოთხისას – კიდევ ერთი ოპერაცია, მაგრამ სასაში ახლაც ნახვრეტი მაქვს. თანაც, რამდენიმე წლის წინ თითქოს ყბებიც გამისწორეს, მაგრამ მაინც წინა კბილებით ვღეჭავ. ვერც კი ვხვდებოდი, როგორი შესახედი ვიყავი ჭამის დროს, სანამ ვიღაცის დაბადების დღეზე ერთმა ბავშვმა იუბილარის დედას ჩემზე არ უთხრა, ამასთან ჯდომა არ მინდა, იმიტომ, რომ პირიდან სულ ნამცეცები სცვივაო. ცხადია, ამ ბიჭს აზრად არ მოსვლია ჩემი წყენინება, მაგრამ მერე ძალიან დატუქსეს, საღამოს კი დედამისმა დედაჩემს დაურეკა და მოუბოდიშა. იმ დაბადების დღიდან შინ რომ მოვედი, სააბაზანოში სარკესთან დავჯექი და კრეკერის ჭამა დავიწყე, რომ მენახა, როგორ ვღეჭავდი. ის ბიჭი მართალი ყოფილა. ისე ვჭამ, როგორც კუ, თუკი გინახავთ, კუ როგორ ჭამს, როგორც რომელიმე პრეისტორიული ჭაობის ურჩხული.

6.1 იმსჯელეთ, **იყო** თუ **არა** ბიჭი ინტეგრირებული სასკოლო სივრცეში? აირჩიეთ ერთ-ერთი პოზიცია და პასუხი დაასაბუთეთ.

*(მაქსიმალური ქულა – 2)*

6.2 როგორია პატარა ბიჭისა და მისი თანატოლების ურთიერთდამოკიდებულება? იმსჯელეთ, შეიძლება თანატოლების დამოკიდებულებას ვუწოდოთ არატოლერანტული, ბიჭისას კი – კეთილგანწყობილი. ორივე პასუხი დაასაბუთეთ.

*(მაქსიმალური ქულა – 2)*

6.3 რა არის ამ ნაწყვეტის მთავარი სათქმელი? იმსჯელეთ, რა როლს ასრულებს სკოლა ბავშვის სოციალიზაციისა და ინდივიდად ჩამოყალიბების პროცესში.

*(მაქსიმალური ქულა – 2 )*

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

**7.** წაიკითხეთ ნაწყვეტები შოთა ჩანტლაძის ლექსიდან **„ჩემი მაგიდის წიგნი“** და შეასრულეთ 7.1 – 7.3 დავალებები:

ქალაქი ჩემთვის წიგნია –
სქელტანიანი, ეპოქალური და მოსაწყენი.
ქუჩა – თავია ამ წიგნის, –
ეს წიგნი შედგება მრავალი თავისაგან,
შესახვევი – ქვეთავია ამ წიგნის, –
ეს წიგნი შედგება უამრავი ქვეთავისაგან.
მოედნები – ცარიელი ადგილებია ამ წიგნის,
ბაღები – ამ წიგნის თავების მხატვრობაა,
მიწა და ზეცა – ყდებია ამ წიგნის.
ეს წიგნი შედგება დაახლოებით 700000 სტრიქონისაგან,
ეს სტრიქონები არ არიან ერთმანეთთან გარითმულნი,
მაგრამ მკაცრი აუცილებლობით არიან დაკავშირებულნი
ერთმანეთთან.
ადამიანები – სტრიქონებია ამ წიგნის.

მახსოვს, დავდიოდი ამ ქალაქში პატარა ბავშვი
და ვკითხულობდი თვალებით ქალაქს,
და დავატარებდი ფეხებს ამ ქალაქში
ნელა და შეჩერებით,
როგორც „დედაენის“ სტრიქონებზე ნელა და შეჩერებით
დავატარებდი თითებს.
ეს წიგნი ჩემი მაგიდის წიგნია.

7.1. ეს ლექსი მთლიანად მეტაფორულია. განმარტეთ, რისი თქმა სურდა ავტორს ამ სიტყვებით: **„ეს სტრიქონები არ არიან ერთმანეთთან გარითმულნი, მაგრამ მკაცრი აუცილებლობით არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან“.**

*(მაქსიმალური ქულა – 1)*

7.2. განმარტეთ, მეტაფორული გამოთქმა: **„ვკითხულობდი თვალებით ქალაქს...“** *(მაქსიმალური ქულა – 1)*

7.3. ახსენით, რა არის ამ ლექსის მთავარი სათქმელი? იმსჯელეთ, როგორ უკავშირდება ლექსის მხატვრული ჩანაფიქრი სათაურს – **„ჩემი მაგიდის წიგნი“**. *(მაქსიმალური ქულა – 2)*

# მათემატიკა

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**8.** რის ტოლია სამი 7-იანითა და ორი 0-იანით ჩაწერილი ხუთნიშნა რიცხვებიდან უდიდესისა და უმცირესის სხვაობა?

ა) 6723-ის;

ბ) 6733-ის;

გ) 7623-ის;

დ) 7633-ის.

**9.** სამი რიცხვიდან პირველი 8-ით ნაკლებია მესამეზე, ხოლო მეორე რიცხვი ორჯერ ნაკლებია პირველი და მესამე რიცხვების ჯამზე. რამდენითაა მეტი მეორე რიცხვი პირველზე?

ა) 3-ით;

ბ) 4-ით;

გ) 5-ით;

დ) 6-ით.

**10.** სამკუთხედის სამივე წვერო მდებარეობს წრეწირზე, რომლის რადიუსის სიგრძეა 2 სმ. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი **შეიძლება** იყოს ამ სამკუთხედის გვერდის სიგრძე?

ა) 3,7 სმ-ის;

ბ) 4,3 სმ-ის;

გ) 4,7 სმ-ის;

დ) 5,3 სმ-ის.

11. ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელია მართებული?

I. თუ ორი მთელი რიცხვის ჯამი კენტია, მაშინ ამ რიცხვების ნამრავლიც კენტია.

II. თუ სამი მთელი რიცხვის ჯამი კენტია, მაშინ ამ რიცხვების ნამრავლიც კენტია.

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) ორივე;

დ) არც ერთი.

## მონაცემთა ანალიზი

ამა თუ იმ ობიექტს ადამიანი მყისიერად ვერ აღიქვამს, მისი ამოცნობისთვის დროის გარკვეული ინტერვალია საჭირო. გამოითქვა ვარაუდი, რომ არსებობს კავშირი ინდივიდის მიერ ინტელექტის ტესტში მიღებულ შედეგსა და გამოსახულების ამოცნობისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობას შორის. ამ ვარაუდის შესამოწმებლად ინტელექტის ტესტში როგორც მაღალი შედეგების მქონე A პირს, ისე შედარებით დაბალი შედეგების მქონე B პირს, ამოსაცნობად წარუდგინეს მარტივი გამოსახულებები დროის სხვადასხვა ხანგრძლივობით. თითოეულ შემთხვევაში მიეწოდებოდათ 50 სხვადასხვა გამოსახულება. დიაგრამაზე მოცემულია დროის სხვადასხვა ხანგრძლივობის შემთხვევაში ამოსაცნობად წარდგენილ გამოსახულებათა რაოდენობის რამდენი პროცენტი ამოიცნეს A და B პირებმა.




*მომდევნო ორ შეკითხვას უპასუხეთ ამ დიაგრამის მიხედვით.*


შეკითხვებზე გადასვლა: 12 13

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**12.** წარდგენის დროის რომელი ხანგრძლივობის შემთხვევაში შეძლო B პირმა უფრო მეტი გამოსახულების ამოცნობა, ვიდრე A პირმა?

ა) 0,5 წმ-ის;

ბ) 0,6 წმ-ის;

გ) 0,7 წმ-ის;

დ) 0,8 წმ-ის.

[დიაგრამის ნახვა]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**13.** რამდენით მეტი გამოსახულების ამოცნობა მოახერხა A პირმა B-სთან შედარებით იმ შემთხვევაში, როცა წარდგენის დროის ხანგრძლივობა 0,9 წმ იყო?

ა) 10-ით;

ბ) 12-ით;

გ) 14-ით;

დ) 16-ით.

დიაგრამის ნახვა

**14.** ერთობლივი ფირმის დასაფუძნებლად ელენემ 30 ათასი ლარი შეიტანა ანგარიშზე, ვანომ – 18 ათასი ლარი. ფირმის მოგებას ისინი ამ შენატანების პროპორციულად ინაწილებენ. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ფირმის მოგების განაწილების შედეგად ელენესა და ვანოს მიერ მიღებული თანხები?

ა) 1800 ლარი  და  1600 ლარი;

ბ) 1600 ლარი  და  1200 ლარი;

გ) 1200 ლარი  და  800 ლარი;

დ) 2000  ლარი  და  1200 ლარი.

**15.** საერთო წვეროს მქონე კვადრატისა და ტოლგვერდა სამკუთხედის გვერდებით შედგენილი კუთხეებიდან ერთ-ერთის სიდიდეა $\alpha$, ხოლო მეორის – 175° (იხ. ნახაზი).




რის ტოლია $\alpha$ ?

ა) 30°-ის;

ბ) 35°-ის;

გ) 40°-ის;

დ) 45°-ის.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**16.** მოცემული ნატურალური რიცხვის 5-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი 4-ის ტოლია. რის ტოლია მოცემულ რიცხვზე 3-ჯერ მეტი რიცხვის 5-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი?

ა) 1-ის;

ბ) 2-ის;

გ) 3-ის;

დ) 4-ის.

**17.** ფერმაში ქათმების გამოსაკვებად 32 დღის სამყოფი საკვები შეიძინეს. რამდენი დღის სამყოფი იქნებოდა ეს საკვები, თუ ფერმაში ქათმების რაოდენობა მესამედით მეტი იქნებოდა?

ა) 18

ბ) 20

გ) 22

დ) 24

**18.** ლიამ, სალომემ, თემურმა და ილიამ გამოთქვეს ვარაუდი კარადაში წიგნების რაოდენობის შესახებ:

ლია: კარადაში წიგნების რაოდენობა 9-ზე მეტია.

სალომე: კარადაში წიგნების რაოდენობა 10-ის ან 13-ის ტოლია.

თემური: კარადაში წიგნების რაოდენობა 15-ზე ნაკლებია.

ილია: კარადაში წიგნების რაოდენობა 12-ის ან 14-ის ტოლია.

ამათგან სწორი აღმოჩნდა მხოლოდ ერთი გოგონას და ერთი ვაჟის ვარაუდი.

რამდენი წიგნი ყოფილა კარადაში?

ა) 9

ბ) 10

გ) 11

დ) 12

**19.** A პუნქტიდან B-ს მიმართულებით გავიდა თანაბარი სიჩქარით მოძრავი ნავი, რომელიც B-ში 5 საათში ჩავიდა. ნავის გამოსვლიდან 1 საათის შემდეგ A პუნქტიდან B-ს მიმართულებით გავიდა თანაბარი სიჩქარით მოძრავი კატერი, რომელიც B-ში 2 საათში ჩავიდა. რამდენ საათში დაეწეოდა კატერი ნავს?

პასუხი დაასაბუთეთ.

*(მაქსიმალური ქულა – 3)*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**20.** მოსწავლეებს შემდეგი სამუშაო შესთავაზეს:

1) გამოთვალეთ: I. $42 \cdot 36 : 9$ II. $256 : 32 : 8$

2) გამოთვალეთ $7a^2 - 3a(2a - 1)$ გამოსახულების მნიშვნელობა, როცა $a = 5$.

3) გაარკვიეთ, რომელია ის რიცხვი: I. რომელიც 12-ის $\frac{3}{4}$ ნაწილის ტოლია;

II. რომლის $\frac{5}{6}$ ნაწილი 30-ის ტოლია.

4) აუზის სიგრძეა 6 მ, სიგანე – 5 მ, ხოლო სიმაღლე – 2,4 მ. რა სიმაღლეზე შეავსებს აუზს 48 $მ^3$ წყალი?

5) ტურნირში 8 გუნდი მონაწილეობდა. თითოეულმა გუნდმა ყველა დანარჩენთან თითო შეხვედრა გამართა. სულ რამდენი შეხვედრა გაიმართა?

მომდევნო გვერდზე მოცემულია ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი:

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

1) I. $42 \cdot 36 : 9 = 42 \cdot 4 = 168$

II. $256 : 32 : 8 = 256 : 4 = 64$

2) $7a^2 - 3a(2a - 1) = a^2 - 3a = 25 - 15 = 10.$

3) I. $12 \cdot \frac{3}{4} = 3 \cdot 3 = 9$

II. $30 \cdot \frac{5}{6} = 5 \cdot 5 = 25$

4) $6 \cdot 5 \cdot 2{,}4 = 72$, $\frac{48}{72} = \frac{3}{4}$, $2{,}4 \cdot \frac{3}{4} = 1{,}8$. შეავსებს 1,8 მ სიმაღლეზე.

5) თითო გუნდი – 7 შეხვედრა, სულ $7 \cdot 8 = 56$ შეხვედრა.

- მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და ჩაწერეთ შესწორებული სახით.

*(მაქსიმალური ქულა – 4)*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

# ბუნებისმეტყველება

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**21.** კურდღელი გარემოში სწრაფად გადაადგილდება. მოძრაობის სისწრაფე მას ეხმარება:

I - საკვების მოპოვებაში.

II - მტაცებლებისაგან თავდაცვაში.

III - ახალი საარსებო  გარემოს ათვისებაში.

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ III;

გ) I და III;

დ) I, II და III.

**22.** რით ემსგავსება ერთმანეთს დელფინი და ზვიგენი?

I - სუნთქვის ორგანოებით.

II - მოძრაობის ორგანოებით.

III - სხეულის ფორმით.

ა) I  და  II;

ბ) I და III;

გ) II და III;

დ) სამივეთი.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**23.** ვენერას ბუზიჭერიას რა სასიცოცხლო პროცესია გამოსახული ილუსტრაციაზე?

ა) ზრდა და მგრძნობელობა;

ბ) კვება და მგრძნობელობა;

გ) სუნთქვა და ზრდა;

დ) კვება და განვითარება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**24.** ილუსტრაციაზე გამოსახული მცენარეებიდან რომლები არ იკვეთებს ნაყოფს?




ა) A და C;

ბ) A და D;

გ) B და C;

დ) B და D.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**25.** რა ნიშნის მიხედვით  არიან დაჯგუფებული ცხოველები  მწკრივებად?

ა) გამრავლების ფორმის;

ბ) კვების ხასიათის;

გ) სივრცეში გადაადგილების უნარის;

დ) საბინადრო ადგილის.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**26.** ჩამოთვლილთაგან რომელი ერთეული გამოიყენება მასის გამოსახვისათვის?

I - ლიტრი.

II - ტონა.

III - გრამი.

ა) I და II;

ბ) I და III;

გ) II და III;

დ) სამივე.

**27.** ჩამოთვლილთაგან ბგერა ყველაზე სწრაფად ვრცელდება:

ა) რკინაში;

ბ) ვაკუუმში;

გ) ჰაერში;

დ) წყალში.

**28.** რა მასშტაბის რუკაზე შეესაბამება 9-სანტიმეტრიან მონაკვეთს ადგილზე 4 კილომეტრი და 500 მეტრი?

ა) 1 : 25 000

ბ) 1 : 50 000

გ) 1 : 100 000

დ) 1 : 125 000

**29.** დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

| სატელიტური ფოტო: | გეოგრაფიული ობიექტი: |
|---|---|
|  | 1. კუნძული;<br>2. ნახევარკუნძული;<br>3. ტბა;<br>4. სრუტე;<br>5. ზღვა;<br>6. კონტინენტი. |

*(მაქსიმალური ქულა – 1)*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**30.** ლათინური ასოებით აღნიშნულ რელიეფის ფორმებს მიუწერეთ მათი შესაბამისი სახელწოდება.




**30.1** A - _____

*(მაქსიმალური ქულა - 1)*

**30.2** B - _____

*(მაქსიმალური ქულა - 1)*

**30.3** C - _____

*(მაქსიმალური ქულა - 1)*


1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

# აკადემიური უნარები

# წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

*ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ, მასზე პასუხის გასაცემად, შესაძლებელია, დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.*

ადრეული ასაკის ბავშვების მიერ სოციალური ნორმების ათვისების პროცესი დიდი ხანია მკვლევართა ყურადღების ობიექტია. რამდენიმე ათეული წლის წინ მიაჩნდათ, რომ 7 წლამდე ასაკის ბავშვები უკრიტიკოდ იღებენ უფროსების მიერ შეთავაზებულ ნორმებს, როგორც ურყევ ჭეშმარიტებას; ამ ასაკის ბავშვებს ჰგონიათ, რომ მხოლოდ ავტორიტეტული უფროსების უფლებაა სამართლიანობის დადგენა და მხოლოდ ქცევის შედეგით ფასდება ამ ქცევის მორალურობის ხარისხი. თანამედროვე კვლევების მიხედვით კი, უკვე სკოლამდელ ასაკში აცნობიერებენ ბავშვები ჩვენი სოციალური ცხოვრების ნორმებისა და წესების მრავალფეროვნებას.

საინტერესოა, მორალური განვითარების შესასწავლ ერთ-ერთ კლასიკურ ექსპერიმენტში მიღებული შედეგები. ამ ექსპერიმენტში ადრეული ასაკის ბავშვებს აჩვენებდნენ ორ ფილმს. ერთ ფილმში ასახული იყო ბავშვი, რომელიც შემთხვევით დაეჯახა მაგიდას და გაუტყდა რამდენიმე ჭიქა, მეორე ფილმში კი ბავშვი, რომელმაც განზრახ გატეხა ჭიქა. გამოკითხულ ბავშვთა უმრავლესობა შეკითხვაზე, თუ რომელი ბავშვი მოიქცა უფრო ცუდად, პასუხობდა, რომ პირველი, რადგან მან უფრო მეტი ჭიქა გატეხა.

შეკითხვებზე გადასვლა: 31 32 33 34 35

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით, 4-7 წლის ბავშვები აცნობიერებენ, რომ არსებობს სხვადასხვაგვარი წესები. კერძოდ, ისინი ხვდებიან, რომ მორალური ნორმები განსხვავდება მარტივი სოციალური შეთანხმებებისგან. ერთ-ერთ კვლევაში დაწყებითი სკოლის ბავშვებს სთავაზობდნენ სხვადასხვაგვარ წესებს, მაგალითად, როგორიცაა - სკოლაში ფორმის ტარება, რაც ტიპური სოციალური შეთანხმებაა და, ასევე, წესს იმის შესახებ, რომ მოსწავლეები ერთმანეთს არ უნდა ეჩხუბებოდნენ, რაც ტიპური მორალური ნორმაა. შემდეგ ბავშვებს ეკითხებოდნენ, სავალდებულოა თუ არა ამ წესების დაცვა იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებელი გადაწყვეტს, რომ მათი დაცვა არ არის საჭირო ან უნდა ვრცელდებოდეს თუ არა ეს წესები სხვა ქვეყნის ბავშვებზეც. ბავშვები უშვებდნენ პირველი წესის (სოციალური შეთანხმების) შეცვლის შესაძლებლობას, მაგრამ არ თმობდნენ მორალური ნორმის დაცვის აუცილებლობას.

ერთ-ერთი თანამედროვე ექსპერიმენტის მიხედვით, 4-7 წლის ბავშვები განიხილავენ წესების შეცვლის შესაძლებლობას იმის მიხედვით, თუ ვის მიერაა ისინი შემუშავებული. როცა თამაშის წესს ერთი ბავშვი ან უფროსი შეიმუშავებს, ამ ასაკის ბავშვები ფიქრობენ, რომ წესის შეცვლა მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, ვინც ის შემოიღო. როცა წესი განისაზღვრება ჯგუფური შეთანხმებით, 6-7 წლის ასაკის ბავშვები ფიქრობენ, რომ ამ წესის შეცვლის უფლება არავის აქვს, მაშინ, როცა 4-5 წლის ასაკის ბავშვებს მიაჩნიათ, რომ ნებისმიერ ბავშვს შეუძლია ამ წესის შეცვლა.

ამრიგად, იმის ნაცვლად, რომ ბრმად მიიღონ უფროსების მიერ შეთავაზებული ნორმები, ადრეული ასაკის ბავშვები შეიძლება აქტიურად მონაწილეობდნენ წესების ფორმულირებასა თუ ინტერპრეტაციაში. შესაბამისად, სოციალური სამყაროს წესების შესწავლის პროცესი – ეს არ არის ქუჩა, რომელზეც ცალმხრივი მოძრაობაა და მხოლოდ უფროსები ასწავლიან ბავშვებს.

შეკითხვებზე გადასვლა: 31 32 33 34 35

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**31.** რა დანიშნულება აქვს პირველ აბზაცს ტექსტში?

ა) ხაზგასმულია ტექსტში წარმოდგენილი მთავარი საკითხის კვლევით დაინტერესების მნიშვნელობა;

ბ) წამოჭრილია საკითხი, რომელსაც ეხება ტექსტი და ვეცნობით ამ საკითხის შესახებ ადრინდელ და თანამედროვე მოსაზრებებს;

გ) განხილულია ტექსტში წარმოდგენილი მთავარი საკითხის შესახებ ადრინდელი და თანამედროვე კვლევები;

დ) წარმოდგენილია ტექსტში მოცემული მთავარი საკითხის შესახებ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება და ამ მოსაზრებების განმამტკიცებელი არგუმენტები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**32.** რომელ აბზაცში მოცემულ ინფორმაციას ეხმიანება მეორე აბზაცში აღწერილი ექსპერიმენტის შედეგი?

ა) პირველში;

ბ) მეორეში;

გ) მესამეში;

დ) მეოთხეში.


[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**33.** პირველ აბზაცში წარმოდგენილი მოსაზრების მიხედვით, 7 წლამდე ასაკის ბავშვები უკრიტიკოდ იღებენ უფროსების მიერ შეთავაზებულ ნორმებს, როგორც ურყევ ჭეშმარიტებას. რა მიმართებაა ამ მოსაზრებასა და მესამე აბზაცში წარმოდგენილი კვლევის შედეგს შორის?

მესამე აბზაცში წარმოდგენილი კვლევის შედეგი

ა) განამტკიცებს ამ მოსაზრებას;
ბ) ეჭვქვეშ აყენებს ამ მოსაზრებას;
გ) არ გამოდგება ამ მოსაზრების არც განმამტკიცებლად, არც გასაბათილებლად;
დ) შეიძლება განვიხილოთ ამ მოსაზრების საილუსტრაციო მაგალითად.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**34.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვარაუდის დაშვების საფუძველს გვაძლევს მესამე აბზაცში აღწერილი კვლევის შედეგი?

4-7 წლის ბავშვები უკვე აცნობიერებენ, რომ:

ა) არსებობს წესები, რომელთა ერთობლივი შემუშავება და, შესაბამისად, დაცვა სავალდებულოა;
ბ) მათ თავად აქვთ უფლება, გადაწყვიტონ, რომელი წესის დაცვაა მნიშვნელოვანი - მორალური ნორმისა თუ სოციალური შეთანხმების;
გ) მასწავლებელს არ აქვს უფლება, გადაწყვიტოს, რომელი წესი უნდა დაიცვან ბავშვებმა - მორალური ნორმა თუ სოციალური შეთანხმება;
დ) არსებობს წესები, რომელთა დაცვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათი შეცვლა ცალკეული ადამიანის ნებაზე არ არის დამოკიდებული.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

**35.** რომელ შეკითხვას შეგვიძლია გავცეთ პასუხი მოცემული ტექსტის მიხედვით?

ა) რატომ არის მნიშვნელოვანი ადრეული ასაკის ბავშვის მიერ სოციალური ცხოვრების წესების ათვისების პროცესზე დაკვირვება?

ბ) რა თავისებურებებით ხასიათდება სოციალური ცხოვრების წესების ათვისების პროცესი სხვადასხვა ასაკში?

გ)როგორ შეიცვალა წარმოდგენა ადრეული ასაკის ბავშვების მიერ სოციალური ცხოვრების წესების ათვისების თავისებურებების შესახებ?

დ) რა ფაქტორები განაპირობებს სოციალური ცხოვრების წესებისა და ნორმების მრავალფეროვნებას?


[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36

## 36. ანალიტიკური წერა

<u>მოსწავლეების დიალოგი სოციალური ქსელიდან:</u>

– გააკეთე ის პროექტი, პლანეტებზე რომ გქონდა ?

– კი, წარვადგინე კიდეც, მაგრამ მასწავლებელს არ მოეწონა, - ზედმეტი ინფორმაცია გაქვსო და მირჩია, მომავალში მხოლოდ სახელმძღვანელოთი მესარგებლა. არადა, მთელი დღე “NATIONAL GEOGRAPHIC”-ის ვიდეოებს ვუყურებდი.

– შენც ადექი და წიგნიდან გააკეთე შემდეგი პროექტი, საყვედურსაც გადარჩები 😊

გაიაზრეთ მოსწავლეების დიალოგი და იმსჯელეთ:

- რა პრობლემა იკვეთება მოცემულ საილუსტრაციო მასალაში?
- რა გამოწვევების წინაშე გვაყენებს ეს პრობლემა სწავლა-სწავლების პროცესში?
- რა შეიძლება დავსახოთ პრობლემის გადაჭრის გზად? განაზოგადეთ სათქმელი.

*მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.*
*თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.* *(მაქსიმალური ქულა 9)*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36